ბრძანება № 1-54

გორი 19 08 2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები შემდეგი სახით:

ა) შემოდგომის სემესტრი:

ა.ა) აკადემიური რეგისტრაცია - 09 სექტემბერი, 2024 - 4 ოქტომბერი, 2024;

ა.ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 09 სექტემბერი, 2024 - 14 ოქტომბერი, 2024;

ა.გ) აკადემიური რეგისტრაცია - ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2024-2025 სასწავლო წლის ჩარიცხვა) - 30 სექტემბერი, 2024 - 14 ოქტომბერი, 2024;

ა.დ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2024-2025 სასწავლო წლის ჩარიცხვა) - 30 სექტემბერი, 2024 - 21 ოქტომბერი, 2024;

ა.ე) აკადემიური რეგისტრაცია მაგისტრატურის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2024-2025 სასწავლო წლის ჩარიცხვა) - 03 ოქტომბერი, 2024 - 14 ოქტომბერი, 2024;

ა.ვ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია მაგისტრატურის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2024-2025 სასწავლო წლის ჩარიცხვა) - 03 ოქტომბერი, 2024 - 21 ოქტომბერი, 2024;

ა.ზ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 07 ოქტომბერი, 2024 - 31 იანვარი, 2025;

ა.თ) შუალედური გამოცდები - 11 ნოემბერი, 2024 - 22 ნოემბერი, 2024;

ა.ი) დასკვნითი გამოცდები - 03 თებერვალი, 2025 - 21 თებერვალი, 2025;

ა.კ) დამატებითი გამოცდები - 24 თებერვალი, 2025 - 07 მარტი, 2025;

ა.ლ) საშობაო არდადეგები - 30 დეკემბერი, 2024 - 07 იანვარი, 2025.

ბ) გაზაფხულის სემესტრი:

ბ.ა) აკადემიური რეგისტრაცია - 20 თებერვალი, 2025 - 10 მარტი, 2025;

ბ.ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 20 თებერვალი, 2025 - 21 მარტი, 2025;

ბ.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 10 მარტი, 2025 - 27 ივნისი, 2025;

ბ.დ) შუალედური გამოცდები - 14 აპრილი, 2025 - 25 აპრილი, 2025;

ბ.ე) დასკვნითი გამოცდები - 30 ივნისი, 2025 - 18 ივლისი, 2025;

ბ.ვ) დამატებითი გამოცდები - 21 ივლისი, 2025 - 01, აგვისტო 2025.

2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი